საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/3813
25/07/2022

3813-21-2-202207251718

შპს „სათნო“
მის: ქ. ფოთი, ლარნაკას ქუჩა №21
ელ.ფოსტა: info@satno.com

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი №2833 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება ქ. ფოთში, ლარნაკას ქუჩაზე ნავთობპროდუქტების საცავის (ავზების ჯამური მოცულობა 6 720 $მ^3$) ექსპლუატაციის პირობების ცვლილებას.

გაცნობებთ, რომ სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს და წარმოდგენილი უნდა იქნეს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, ნავთობპროდუქტების საცავის ტერიტორიაზე სასმელ-სამეურნეო და ტექნიკური მიზნით წყალაღება ხორციელდება ქ. ფოთის წყალმომარაგების ცენტრალური ქსელიდან, თუმცა, 2021 წელს, სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ განხორციელებული გეგმური ინსპექტირების შედეგად გამოვლინდა, რომ ნავთობბაზაზე წყალაღება ხორციელდებოდა ზედაპირული წყლის ობიექტიდან. შესაბამისად, იმ შემთხვევაში, თუ ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით გათვალისწინებულია წყალაღების ობიექტის ცვლილება, სკრინინგის განცხადებაში მოცემული უნდა იყოს აღნიშნული ინფორმაცია;
- სკრინინგის განცხადებაში ასახულია საწარმოს ექსპლუატაციის პროცესში ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის 8 ორგანიზებული და 3 არაორგანიზებული გაფრქვევის წყარო, ხოლო, გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ განხორციელებული ინსპექტირების შედეგების თანახმად, ფაქტობრივი მდგომარეობით, საწარმოში იდენტიფიცირებულია მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის 20 ორგანიზებული და 5 არაორგანიზებული წყარო. შესაბამისად, აღნიშნული საკითხი საჭიროებს დაზუსტებას;
- დოკუმენტში მითითებულია, რომ დაგეგმილი ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში გათვალისწინებულია დამატებით ერთი სეპარატორის მოწყობა. სკრინინგის განცხადებაში აღწერილი უნდა იყოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით გათვალისწინებული ყველა ღონისძიება და აღნიშნული ცვლილებებიდან გამომდინარე შესაძლო ზემოქმედება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამინისტრო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

თამარ ფიცხელაური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო